

სიმ. ყაუხჩიშვილი

ლათინურ-ქართული ლექსიკონი

ქართულ-ლათინურ ზმსატყვისოგათა დართვით

(ca. 14.000 სიტყვა)

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

თბილისი — 1961

რედაქტორი დოც. ირ. შენგელია

წინასიტყვაობა

წინამდებარე ლექსიკონი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველია „ლათინურ-ქართული“ ლექსიკონი (გვ. 1—345), ხოლო მეორე—ამის საფუძველზე შედგენილი „ქართულ-ლათინური შესატყვისობანი“ (გვ. 347—490).

§ 1. „ლათინურ-ქართული ლექსიკონი“ შედგენილია 1940 წელს ჩვენ მიერ გამოქვეყნებული „ლათინურ-ქართული ლექსიკონის“ საფუძველზე, ხოლო მისგან განსხვავებით: 1) შეიცავს თითქმის ოთხჯერ მეუ რაოდენობას სიტყვებისას; 2) გამდიდრებულია ფრ. ხელოვანებით, განსაკუთრებით მის პირველ ნახევარში; 3) ფრაზეოლოგიაში მოყვანილ გამოთქმებს მ.წერილი აქვს სრული ციტატა.

ლექსიკონი შეიცავს ლათინური ენის იმ სიტყვებს, რომლებიც გვხვდება გამოჩენილი რომელიც მწერლების ყველაზე უფრო პოპულარულ თხზულებებში (ამ მწერალთა სახელები და მათ თხზულებათა სათაურები იხ. ამ წიგნის ბოლოში მოთავსებულ შემოკლებათა სიაში). თუ 1940 წლის გამოცემაში მთლიანად იყო გათვალისწინებული იულიუს კეისრის *Commentarii de bello gallico*-ს ლექსიკა, წინამდებარე გამოცემა იმითაც არის შევსებული, რომ გათვალისწინებულია კორნელიუს ტაციტუსის ორი ძირითადი თხზულება: *Annales* და *Historiae*.

გარდა ამისა „ლექსიკონში“ შევიტანეთ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა საჭიროებისათვის ის ძირითადი ლათინური (და ბერძნულიდან გადმოლათინურებული) სიტყვები, რომლებიც მათ ხვდებათ სამკურნალო მეცნიერებათა შესწავლის პირველ წლებში: აქ შევიდა როგორც ისეთი სიტყვები, რომლებსაც მედიცინაში მათი ჩვეულებრივი მნიშვნელობით ხმარობენ, აგრეთვე ისეთებიც, რომლებსაც მედიცინა განსხვავებული მნიშვნელობით ხმარობს (მაგ. *processus „მორჩი“*); შევიდა აგრეთვე ზოგიერთი ისეთი სიტყვა, რომელიც ძველმა ლათინურმა სრულიად არ იცის. ამ უკანასკნელი წყების სიტყვებს ჩვენ ვარსკვლავის ნიშანი (*), დავუსვით (იხ., მაგალითად, *ispis, mesencephalon neurasthenia, nodalis, variola* და სხვ.).

§ 2. წინამდებარე ლექსიკონის მეორე ნაწილი „ქართულ-ლათინური შესატყვისობანი“ ემყარება ლექსიკონის პირველ ნაწილს. „ლათინურ-ქართული ლექსიკონის“ მასალა მთლიანად ამოწმრეთ და ქართულ ანბანზე დავალაგეთ. სამუშაოში მონაწილეობას ლებულობდნენ აგრეთვე აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიური განყოფილების თანამშრომლები ირინე ნოდია და გუჩაბელი უშაურაძე. ამნაირად დალაგებული მასალა გავმართეთ იმ სახით, როგორც ქვემოთ არის ამაზე ლაპარაკი (იხ. § 8). აქა-იქ შევნიშნე, რომ თვით „ლათინურ-ქართულ“ ნაწილში ხარვეზები იყო და ეს ხარვეზები ნაწილობრივ შევავსე „ქართულ-ლათინურ“ ნაწილში.

§ 3. „ლათინურ-ქართული ლექსიკონი“ შევადგინე იმ ლექსიკონების მიხედვით, რომლებიც ქვემოთ არის ჩამოთვლილი (იხ. გვ. 491), ხოლო დამატებით ვისარგებლე ჩემ მიერ ბიბლიის წიგნებისათვის. შედგენილი ლათინურ-ქართული კარტოთეკით, რაც თავთავის ალაგას აღნიშნულია კიდევ. მაგრამ იმდენად გაიზარდა წიგნი, რომ იძულებული ვიყავი მინიმალურად შესარგებლა ამ მასალათ, მით უმეტეს რომ, არსებითად, კლასიკური ლათინურის ლექსიკონს ვადგენდი და არა ჰიერონიმუს დროინდელი ლათინურისას.

ლექსიკონის სტრუქტურა

§ 4. არხეოთი სახელი მოყვანილია ლექსიკონის ლათინურ-ქართულ ნაწილში სახელობითი ბრუნვის ფორმით და ფრჩხილებში მიწერილი აქვს ნათესაობითი ბრუნვის ფორმა: აგურ (აგრი; ეს ნიშნავს: აგერ სახელობითი ბრუნვაა აგრი—ნათესაობითი ბრუნვა.

§ 5. ზედსართავი სახელი მოყვანილია დაწყებით ხარისხში:

ა) I—II კანკლედობის ის ზედსართავი სახელები, რომელთაც ცალკე სქესებისათვის აქვთ სამნაირი ბოლოკიდური us, a, um, შემოკლებით არის მოყვანილი: albus, a, um („თეთრი“), ე. ი. უნდა წავიკითხოთ albus მ., alba ჯ., album ს.

ბ) I — II კანკლედობის ის ზედსართავი სახელები, რომელთაც აქვთ სამნაირი ბოლოკიდური er, ra, rum, სრულად არის მოყვანილი: ater atra atrum („მუქი“, „შავი“), ან liber libera liberum („თავისუფალი“).

გ) III კანკლედობის ორდაბოლოებიანი ზედსართავი სახელები ამოწერილია შემოკლებით: brevis, o („მოკლე“), ე. ი. უნდა წავიკითხოთ brevis მ. ჯ., breve ს.

დ) III კანკლედობის ერთდაბოლოებიანი ზედსართავი სახელები მოყვანილია სახელობითი ბრუნვაში და ფრჩხილებში სრულად აქვს მიწერილი ნათესაობითი ბრუნვის ფორმა: ingens (ingentis); იქვე აღნიშნულია, რომ ეს „ზედსართავი“ სახელია, იმ მონაზრებით, რომ ის არ იქნეს მიჩნეული არსებით სახელად, რომელიც წინამდებარე ლექსიკონში აგრეთვე სახელობითი და ნათესაობითი ბრუნვების სახით არის მოყვანილი.

§ 6. ზმნა ამოწერილია მისი ოთხი ძირითადი ფორმის სახით: dico (აწმყო), dixi (ნამყო სრული), dictum (სუპინუმი), dicere (განუსაზღვრელი კილო), რომელთაგან სამი უკანასკნელი ფრჩხილებშია მოთავსებული:

dico (dixi, dictum, dicere) ვამბობ.

თუ ოთხი ფორმის ნაცულად მოყვანილია სამი ან ორი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ზმნას დანარჩენი ძირითადი ფორმა აკლია:

bibo (bibí, bíhere) გსვამ.

ამ ზმნას სუპინუმი აკლია.

ეგრეთწოდებული დეპონენტები (verba deponentia) მოყვანილია სამი ძირითადი ფორმით: conor (აწმყო), conatus sum (ნამყო სრული), courai (განუსაზღვრელი კილო).

ზმნას აღარ აქვს მიწერილი, თუ ის რომელი უღვლილებისაა, ვინაიდან მოყვანილი ძირითადი ფორმები სრულ საშუალებას იძლევა გამოცნობილ იქნეს უღვლილება.

ზმნის ძირითადი ფორმები მოყვანილია, თანახმად საერთაშორისო წესისა, პირველ პირში (dico, bibo, და სხვ). ბუნებრივია, რომ ჩვენ მათი ქართულ-

ლი: შესატყვისი ზმნებიც პირველ პირში მოვიყვანეთ (dico „ვამბობ“, habeo „ვსვამ“). მაგრამ ქართული პრეფერბიანი ზმნის აწმყო დროის პირველ პირში მოყვანას ის უხერხულობა ახლავს, რომ ასეთი ზმნა—აწმყოს ფორმით აღებული—უფრო ხშირად მყოფადის მნიშვნელობისაა (bilio „ვსვამ“, edis „მეჭვავ“; no „მცურავ“, transio „გადავცურავ“). მიუხედავად ასეთი უხერხულობისა, ჩვენ მაინც პირველი პირით მოვიყვანეთ ზმნები, და მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ პრეფერბიანი ზმნების ქართულ შესატყვისში ამოწერილი, მყოფადის მნიშვნელობის მქონე ზმნები მოვიყვანეთ ლათინური აწმყო შესატყვისად მხოლოდ იმ მოსახრებით, რომ დაგვეჩვენებინა, თუ რა მნიშვნელობა შეეფერება ლათინურში ნახმარ პრეფერბს.

§ 7. მახვილი. ჩვენს ლექსიკონში, მის ლათინურ-ქართულ ნაწილში, ყოველ სიტყვას უხის მახვილი. არც ერთს, სხვა ენაზე შედგენილ ლათინურ ლექსიკონში მახვილები არ სწვრია. ჩვენს ლექსიკონში მახვილის მიწერა გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ:

ლათინურში მახვილის სწორად ხმარების საფუძველია მარცვალთა სიგრძე-სიმოკლის ცოდნა, სახელდობრ:

ლათინურ სიტყვას მახვილი მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალზე, თუ ეს მეორე მარცვლი გრძელია; ხოლო, თუ მეორე მარცვალი მოკლეა, სიტყვას მახვილი მესამე მარცვალზე აქვს, მიუხედავად იმისა ეს მეორე მარცვალი მოკლეა თუ გრძელი.

მაშასადამე, თუ ლექსიკონში აღნიშნულია მარცვალთა სიგრძე-სიმოკლე, ლექსიკონის მომხმარებელი თვითონ გაერკვევა, თუ სად დაუსვას მახვილი:

amīcus hordēum.

აქ მოყვანილი ორი სიტყვიდან პირველს გრძელი ჰქონია მეორე მარცვალი ბოლოდან, ამიტომ მახვილი ამ მეორე მარცვალზე იქნება: amīcus,

ხოლო მეორე სიტყვას მეორე მარცვალი (do) მოკლე ჰქონია; მაშასადამე, მასზე მახვილი არ შეიძლება იყოს; მახვილი იქნება ბოლოდან მესამე მარცვალზე: hordēum.

ვინაიდან ჩვენს სტამბებში გრძელი და მოკლე ხმოვნების გამოხმატველი ასოები არ აღმოჩნდა, ამიტომ სიტყვებს პირდაპირ მანვილი დაუსვით: ზოგს ბოლოდან მეორე მარცვალზე, ზოგს—მესამეზე, იმისდა მიხედვით, თუ რა ოდენობისა იყო მეორე მარცვალი: თუ ის გრძელი იყო, მახვილიც მას მოუვიდა, თუ ის მოკლე იყო, მახვილი მესამე მარცვალს ხვდა წილად:

crinitus	cūmulus
cultūra	edibitus
discrimina	disparo

როდესაც მახვილი მოუდოდა ისეთ მარცვალს, რომელშიც იყო დიფთონგები აც და ცე, ასეთ შემთხვევაში ტექნიკურად შეუძლებელი იყო მახვილის დაწერა და ამიტომ ასეთი სიტყვები მახვილალუნიშნული დარჩა. მაგალითად, სიტყვაში aestimo მეორე მარცვალი მოკლეა და ამიტომ მახვილი ამ სიტყვას მოუდის მესამე მარცვალზე. მაგრამ რადგან აც-ზე მახვილის დაწერა შეუძლებელი იყო, ამიტომ აქ მახვილი აღუნიშნული დარჩა; ეს სიტყვა უნდა წავიკითხოთ ესტიმო.

§ 8. ქართულ-ლათინური შესატყვისობანი. წინამდებარე ლექსიკონს დართული აქვს „ქართულ-ლათინური შესატყვისობანი“. ეს ჩვენი ლექსიკონის ის

ნაწილია, რომელმაც უნდა გასწიოს „ქართულ-ლათინური ლექსიკონის“ მაგიერობა, დროებით მაინც. სანამ ასეთი ლექსიკონი შედგებოდეს.

„ქართულ-ლათინურ შესატყვისობათა“ შესახებ მკითხველმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი ჩვენი მითითებებით:

ა) აქ მოყვანილია მხოლოდ ის შესატყვისობები (ორიოდე გამონაკლისის გარდა), რომლებიც ჩვენი ლექსიკონის „ლათინურ-ქართულ“ ნაწილშია. შეიძლებოდა სპეციალურად გვეთქვა: „ქართულ-ლათინური შესატყვისობანი“ წარმოადგენს „ლათინურ-ქართული ლექსიკონის“ ქართულ საძიებელს. იმისათვის რომ ზედმიწევნით გაიგო. თუ რა ლათინური მნიშვნელობა შეეფერება ამა თუ იმ ქართულ სიტყვას, საჭიროა „შესატყვისობებში“ მითითებული ლათინური სიტყვის მნიშვნელობა ამოვიკითხოთ თვით „ლათინურ-ქართულ ლექსიკონში“. ზოგჯერ შესატყვისობა ზედმიწევნითა, მაგალითად:

„გარშემო დგომა 1. circumstantia; 2. circumsto“.

მაგრამ ხშირად შესატყვისობის ზედმიწევნითობას მკითხველი გაიგებს „ლათინურ-ქართულ“ ნაწილში. ავიღოთ ასეთი მაგალითი:

„პური frumentum, panis“ (გვ. 432).

საჭიროა ჩაეხედოთ თვით „ლათინურ-ქართულ ლექსიკონში“ და იქიდან გავიგებთ, რომ frumentum არის „პური, ხორბალი“, ე. ი. პურის მარცვალი; ხოლო panis არის გამომცხვარი „პური“.

ბ) ბუდეში მითითებული შავი ციფრებით (1. 2.) აღნიშნულია: სახელი (1.) და ხმნა (2.).

გ) ზოგჯერ ამოწერილია ნამყოს მიმღეობა; მაგ., 382 გვერდზე ბუდეში „დარბევა“ ჩამოთვლილია შესატყვისი ლათინური როგორც სახელები, ისე ხმნები: 1. depopulatio, devastatio... 2. depopulor, deprador, devasto, populo, populor, raptor, vasto, და ბოლოში მიწერილია „დარბეული vastus“; ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ „დარბეული“ ლათინურად არის მხოლოდ vastus.

„დარბეული“ არის ვნებ. ნამყოს მიმღეობა და, მაშასადამე, ბუდეში მოყვანილი ყოველი ხმნის Participium perfecti იქნება „დარბეული“: depopulatus, devastatus, expilatus... მაგრამ ამათ გარდა „დარბეულს“ ნიშნავს სიტყვა vastus.

დ) მკითხველს ასეთ შემთხვევასთანაც ექნება საქმე: 398 გვერდზე სწერია: „ისტორია historia; gestus“. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ „ისტორია“ ლათინურად არის gestus, არამედ სიტყვის ქვეშ gestus (გვ. 17ა) ნახავს მკითხველი, რომ res gestae არის „ისტორია“.

ე) ზემოთ ჩვენ ეწერდით, რომ რადგან ლათინური ხმნა, თანახმად საერთაშაოსო წესისა, მოგვყავს პირველი პირით (dico, dico), ქართული შესატყვისი ხმნებიც პირველ პირში მოვიყვანეთ („ვამბობ“). ხოლო რაც შეეხება ჩვენი ლექსიკონის მეორე ნაწილს, იქ ლათინური ხმნის შესატყვისი ქართული ხმნა მოგვყავს საწყისი ფორმით.

სიმ. ყაუხჩიშვილი

თბილისი, 1961 წლის 27 მარტი

A

1. A. a ლათინური ანბანის პირველი ასო.
 2. A. შემოკლება კაცის სახელისა Aulus.
 3. a. შემოკლება სიტყვისა annus.
 4. a (ah) შორისდ. 1. აჰ, ოჰ; 2. ჰაი; ვაი!
 5. a, ab (წინდებული მოქმედ. ბრუნვით: a იხმარება თანხმონით დაწყებული სიტყვის წინ, ab—ხმონით და h-თი დაწყებული სიტყვის წინ) 1.-გან, მიერ; a frátro 'ძმისაგან, ძმის მიერ; ab ómnibus ყველას მიერ; ab híste მტრის მიერ; 2. -გან (დროის აღსანიშნავად); ab éo tómpore იმ დროიდან; ab úrbe cóndita ქალაქის (რომის) დაარსებიდან; 3. -გან (ადგილის აღსანიშნავად); a térგი ზურგიდან; a lóco ადგილიდან.
- ábacus (ábaci, ბერძნ. ἄβαξ) 1. საანგარიშო დაფა, სახახავი დაფა; 2. სათამაშო დაფა (უჯრედებიანი).
- abaliéno (abalienávi, abalienátum, abalienáre) 1. განეასხივებ, ვასხივებს; 3. მოვიშორებ, ვიშორებ; 3. ჩამოვართმევ, ვართმევ.
- ábavus (ábavi) 1. პაპის მამა, დიდელის მამა. შდრ. ávus.
- ábax იხ. ábacus.
- abbreviátio (abbreviatiónis) ლ. შემოკლება.
- abdicátio (abdicatiónis) ლ. 1. უარის თქმა, ხელის აღება; 2. მემკვიდრეობის უფლების წართმევა.
1. ábdico (abdicávi, abdicátum, abdicáre) უარს ვამბობ, ხელს ვიღებ.
 1. ლათინურ-ქართული ლექსიკონი
 2. ábdico (abdixi, abdictum, abdicere) უარს ვეუბნები, ხელს არ ვუწყობ. ábditus, a, um მოშორებული, განმართებული; ფარული.

ábdio (ábdidi, ábditum, ábdero) 1. ვაშორებ, ვაცილებ, ვმალავ; se ábdere განშორება, უკან დახევა, თავშესაფარის ძებნა; 2. გადავიყვან; ვაძევებ, გადავასახლებ; eáque in insulam Seríphon ábdita est და იგი სერიფონის კუნძულზე იქმნა გადასახლებული (Tac. ann. 2,85).

abdómen (abdóminis) ხ. მუცელი.

abdominális, e ზედასართ. მუცლისა; typhus abdominális მუცლის ტიფი.

abdúco (abdúxi, abdúctum, abdúcere) 1. მიმყავს (წაყვანა), გამყავს განზე; in servitútem abdúcere მონებად წაყვანა; 2. გადაბირება; 3. გადათქმევივნება, მოშლევინება; დამცირება, დაქვეითება.

abéna იხ. haxéna.

ábeo (ábii ან abívi, ábitum, abíre) მივდივარ (წასვლა); ábiit ex conspéctu თვალს მოეფარა, გაუჩინარდა; abíre e víta გარდაცვალება; non lónge abíeris შორს არ მოგიხდება ძებნა (Cic.).

ábéquito (abequitávi, abequitátum, abequitáre) ცხენით მივდივარ.

aberrátio (aberratiónis) ლ. 1. გადაცთენა, გადახტრა; 2. აბერაცია. შეცთომითი აღქმა.

abéssé იხ. ábsum.

ábfui (= áfui) იხ. ábsum.

abhiuc ზნს. 1. აქედან; 2. ამ დროიდან. მას უკან.

abhórreo (**abhórui**, **abhorrére**) 1. მეზიზღება; 2. **abhórret** არ შეეფერება; ეწინააღმდეგება; 3. **abhórrens** უადგილო, შეუფერებელი; **véstráe istáe absurdáe átquo abhorréntes lácri-mae** ვგ თქვენი უაზრო და უადგილო ცრემლები.

ab hoc ამისგან.

abíci *ob.* **abífcio**.

abíctus, **a**, **um** 1. დაუდევარი, აგდებული; 2. მდარე, მდაბიო; 3. აბუჩად აგდებული; საზიზღარი; 4. დანარცხებული (**Verg.**)

abíegnus, **a**, **um** ნაძვის ხისა; **éguas abíegnus** ტროადის ცხენი.

ábies (**abietis**) *რ.* 1. ნაძვი; 2. (ნაძვისაგან გაკეთებული) ხომალდი, შუბი (**Verg.**)

ábigo (**abégi**, **abíctum**, **abígere**) 1. ვაგდებ, ვრეკავ (გარეკვა), **gréges óvium ábigit** ცხვრის ფარას მიერეკება. 2. ვიტაცებ; **pécus abígere** საქონლის გატაცება (**Cic.**) 3. მოწყვეტა (მეტელისა); **pártum abígere** მუცლის მოშლა (**Tac.**)

abífcio (**abífcí**, **abífcere**) 1. ვისერი, ვერი; **arma abífcere** იარაღის დაყრა. 2. დავანარცხებ, გავანადგურებ; **ab. hóstem** ვანარცხებ მტერს (**abíctus** დანარცხებული **Verg.** 10, 734); 3. მივაყრი (სიტყვებს); 4. დავამცირობ; *რ.* **abífcere** სულით დაცემა, სასოს წარკვეთა.

ábitus (**úbitus**) *მ.* 1. წასვლა, გასვლა, გამგზავრება **შდ.** **ábeo**; 2. გამოსასვლელი; გასასვლელი ადგილი (**Verg.** **Tac.**)

abíudico (**abíudicávi**, **abíudicátum**, **ábiudicáre**) ჩამოვართმევ; უარს ვეუბნებ; **abíudicare sibi libertátem** თავისუფლებზე უარის თქმა (**Cic.**)

abíungo (**abíunxi**, **abíunctum**, **abíun-gere**) გამოვსხნი, გამოვუშვებ (ხარს, ცხენს); ვაცალკევებ.

abíuro (**abíurávi**, **abíurátum**, **abíuráre**) უარზე ვდგავარ; ვეფიცები.

ablatívus (**ablatívi**) *მ.* მოქმედებითი ბრუნვა.

ablátum *ob.* **áufero**.

ablégo (**ablegávi**, **ablegátum**, **ablogáre**) 1. ვაგზავნი; **honéstos hómines ablegáre** პატივსაცემ პირთა გაგზავნა; 2. მივლენა, წარგზავნა.

ábluo (**áblui**, **ablútum**, **ablúere**) ვბან (ვაბანა); **pédes ablúere** ფეხების ბანა; **vúlnera ablúere** კრილობების მობანა.

ábnego (**abnegávi**, **abnegátum**, **abuegáre**) უარს ვეუბნებ; უარვეყოფ.

abnórmis, *ე* უწყისო, წეს-გარეშე; **abnórmis sápiens** ბრძენი რომელსაც სკოლაში არ უსწავლია (**Hor.**).

ábnuo (**ábnui**, **abnuitúrus**, **abnúero**). 1. უარვეყოფ ხელების გასასვავებით, თავიდან ვიშორებ; უარს ვეუბნები: **Dolabéllae peténti ábnuit triump-húlia** **Tibérius** ტიბერიუსმა უარი უთხრა დოლაბელას ტრიუმფის გადახდაზე (**Tac. ann.** 4, 25)

abóleo (**abolévi**, **abólitum**, **abolére**) 1. ვსობობ, ვანადგურებ 2. გადავაყენებ (თანამდებობიდან).

aboléscó (**abolévi**, **aboléscere**) ვნადგურდები, ვჭრები.

abolitío (**abolitiónis**) *რ.* 1. მოსპობა, გაუქმება; **tributórum a.** გადასახადების გაუქმება; 2. უარყოფა; **a. sententíae** წინადადების უარყოფა (**Tac. ann.** 6, 2).

abóminor (**abominátus** **sum**, **abominári**) 1. გავურბი (ცუდ რამეს); **quod abóminor** ღმერთმა დამიფაროს! 2. მეთაკილება.

Aborigines (*მრ.*; *ნათ.* **aboríginum**) *მ.* აბორიგინები, თავდაპირველი ბინადრები [**ab**, **origo**],

abórior (**abórtus** **sum**, **aboríri**) 1. ჩავდივარ, ჩავესვენები, (მნათობებზე); 2. ვაკჭრები... **vocémque aboríri** ხმა ჩაუწყდება (**Luerc.**).

abörtio (abörtionis) ჯ. მუცლის მოშლა.
abörtívus, a, um 1. დღენაკლი, უდღეუ-
რი; 2. მუცლის მოსაშლელი; **abor-
tívum (abörtivi)** მუცლის მოსაშლე-
ლი საშუალება.

abörtus (abörtus) ზ. მუცლის მოშლა.
abrádo (abrásí, abrásum, abrádere)
1. მოფხვკ, გადაფხვკ; 2. მოვკრეკ
(თმას, წვერს); 3. გამოვკინცლავ.

abriópio (abriópi, abréptum, abriópere)
მოვიტაცებ; **se abrípere** მოკურც-
ხლავ. [ab, rapió]

**ábrogó (abrogávi, abrogátum, abro-
gáre)** 1. ვაუქმებ (კანონს); 2. ჩამო-
ვართმევ (თანამდებობას...).

**abrómpo (abrópi, abruptum, abrómp-
pere)** 1. მოვწყვეტ, მოვგლეჯ, მოვ-
ტებ; 2. შევწყვეტ; დავარღვევ.

abróptio (abruptiónis) ჯ. 1. მოწყვე-
ტა, მოტეხა; 2. შეწყვეტა; დარღვევა.
abrópte ზმნს. მოულოდნელად, უცბად;
მოუფიქრებლად.

abróptus, a, um დაქანებული, ციკაბო;
გად. მოუფიქრებელი, წინდაუხედავი.

abs ივითა რაც **a, ab** (იხმარება ზოგ-
ჯერ **q**-თი და **t**-თი დაწყებული სიტ-
ყვების წინ).

abscédo (abscéssi, abscédere) 1. ვიხვე
(დახვეა), ვშორდები (განშორება); 2.
ვკრები.

abscéssus (abscéssus) ზ. 1. გაშორება,
გაცლა; განმარტობა. 2. არყოფნა
(= **abséntia**); **contínuo abscéssu
velut exílium obiectádo** უსაკვე-
დურება მუდამ რომის გარეთ ხარ,
თითქოს გაძევებული იყო (Tac. ann.
6, 38).

**abs-cido (abscídi, abscísum; abscide-
re)** 1. ვკრი (მოკრა, წაკრა); 2. ვა-
საკურსებ; 3. ვუსპობ; **spe úndique
abscísa** მის შემდეგ რაც იმედი ყო-
ველმხრივ მოსპობილი იყო (Liv.).

abscído (ábscídi, -scíssum -scíndere)
1. მოვწყვეტ, მოვაშორებ; 2. შევწყვეტ.
abscíssus, a, um მიმღეობა ზმნისა **ab-
scíndo**.

abscísus, a, um მიმღეობა ზმნისა **abs-
cído**.

ábsens (abséntis) არყოფი, არდამს-
წრე. შდ. **ábsum**.

abséntia (abséntiae) დ. არყოფნა.

absímilis, o არამსგავსი.

**absínthium (absínthii, ბერძნ. ἀψι-
θίου)** ს. მცენ. აბზინდა (აფსინდი
საბა).

**ábsis (absidis; აგრეთვე ápsis; ბერძნ.
ἀψίς)** ჯ. თალი.

absísio (ábsísti, absístere) განხე ვდგა-
ვარ, ჩამოვრჩები, (გადატ.) თავს ვა-
ნებებ.

absólute ზმნს. სავსებით, სრულიად;
უთუოდ, უცილობლად.

absólutio (absolutiónis) ჯ. 1. გამო-
ცალკეება, გაყრა; 2. განთავისუფ-
ლება, გამართლება (საპირ. **dámno-
tio**); 3. სრულყოფა.

absólutus, a, um დასრულებული,
სრულქმნილი, უცილობელი; დამოუ-
კედებელი. იხ. **absólvo**.

**absólvo (absólvi, absólutum, absól-
vove)** 1. გამოვხსნი, ვათავისუფლებ;
2. ვამართლებ (საპირ. **dámno**); 3.
ვამთავრებ; **absólútis opéribus**
სამუშაოები რომ დამთავრდა; **fídem
absólvit** აპატია ერთგულება (მტრი-
სადმი) (Tac.).

ábsonus, a, um 1. არაკეთილზმონანი;
2. შეუფერებელი.

**absórbeo (absórbeui, absórptum, ab-
sorbére; ვშთანთქამ, შევწოვ.—Pert.
აგრეთვე absórpsi || absórpsi.**

absórptio (absórptiónis) ჯ. შთანთქმა,
შეწოვა.

absp... იხ. asp...

ábsque (წინდებული მოქმ. ბრ.) უ-დ, უი-
მისოდ, გარეშე; გამოკლებით; **a. pá-
cis syllabis** რამდენიმე მარცხლის
გამოკლებით; **a. senténtia** უნებუ-
რად, განუზრახველად.

absténtum იხ. **abstineo**.

abstérgeo (abstérsi, abstérsum ab-

stergère) 1. მოვიწმენდ, შევამშრალე, შევიშრალე; *sudorem abstergère* ოფლის მოწმენდა (Plaut); 2. მოეშორებ [abs, térgeo].

abstérreo (abstérui, abstérritum, absterrére) 1. დაეფრთხობ; 2. შევაკეებ.

abstíneus (abstínentis; შედარ. abstínentior, აღმ. abstinentissimus) თავდაპირველი; უანგარო.

abstíntia (abstínentiae) ჟ. თავდაპირველობა; უანგარობა.

abstíneo (abstínui, absténtum, abstínere) 1. ვაკეებ; se abstínere თავს ვიკებ, თავს შორს ვიკებ; 2. თავის შეკავება; proelio abstínébat. ბრძოლისაგან თავს იკავებდა; abstínéto irárum დააცხრე შენი რისხვა (Hor.); 3. დაზოგვა, შებრალება.

ábsto (abstáre) მოშორებით ვდგავარ; si lóngius ábstes თუ უფრო მოშორებით დგახარ (Hor. poet. 362).

abstractio (abstractiónis) ჟ. გამორიცხვა, განყენება; მოგლეჯა, მოტაცება.

abstractus, a, um განყენებული, წაყვანილი.

ábstraho (abstráxi, abstractum, abstráhere) 1. განზე მივითრევ, გავიტაცებ; 2. განვაყენებ, ვაცილებ, წავიყვან; súos ab se líberos abstractos (esse) óbsidum nómine dolébant სწუხდნენ, რომ მათი შვილები მძევლებად იყვნენ წაყვანილი. [abs, tráho].

abstrúdo (abstrúsi, abstrúsum, abstrúdere) 1. დავმაღავ; 2. თავიდან მოვიშორებ. [abs, trúdo].

abstrúsus, a, um 1. დაფარული; 2. გულჩათხრობილი (abstrúsum... Tibérium: Tac. ann. 1, 24).

ábstuli ob. aufero.

ábsum (áfu, abése) 1. შორს ვარ, არ ვარ, დაშორებული ვარ; ne lóngius trídúo a cástris ábsit რომ სამ დღეზე მეტს არ იყოს მოშორებული ბანაკს; 2. მონაწილეობას არ ვიღებ;

ab hoc concilio afuérunt იმათ მონაწილეობა არ მიუღლიათ ამ კრებაზე.

absumo (absumpsi, absumptum, absumere) 1. მთლად წავიღებ რასმე, მთლად დავხარჯავ; 2. (დროს) დავხარჯავ, დავარჯავ, 3. მოსობავ; განაწევა; Cartháginem flámmis absumi კართაგენი ცეცხლს მიცა. [ab, sumo].

abúrde ზნს. 1. ყურის მომკრეველად, ყალბად; a. cánere ყალბი სიმღერა; 2. შეუფერებლად.

absúrditas (absurditátis) ჟ. უხამსობა, შეუფერებლობა.

absúrdus, a, um 1. არაკეთილმორავანი; 2. უხამსი, სულელური; 3. შეუფერებელი.

abúndans, (abundántis; შედარ. abundántior, აღმ. abundantissimus) 1. უხვი, ბარაქიანი, სეკიანი; lócus fóntibus a, წყაროებით მდიდარი ადგილი (Cic.); 2. შეძლებული (საპირ. égré: ns ხელმოკლე).

abundánte ზნს. 1. უხვად, ბარაქიანად; 2. დაწვრილებით, სიტყვაუხვად; copióse et a. lóqui სიტყვაუხვად ლაპარაკი (Cic.).

abundántia (abundántiae) ჟ. 1. სიუხვე; სიმდიდრე; 2. სიტყვებით გადატვირთვა.

abúnde ზნს. უხვად; a. rátus სრულიად კმაყოფილი, სრულიად კმასაყოფი (Tac.).

abúndo (abundávi, abundátum, abundáre) 1. ვიღვრები; áunis abundávit მდინარე აღიდა; 2. გადატ. უხვად ვარ; უხვად მაქვს, შეძლებული ვარ (საპირ. egére); egéntes abundant ხელმოკლენი დოვლათს იძენენ (Cic.).

abútor (abúsus sum, abúti) 1. ველანგავ; 2. უხვად ვსარგებლობ; 3. ბოროტად ვიყენებ.

ae, atque კავშ. და, -ც.

acácia (acáciae) ჟ. მცენ. აკაცია.

acanthinus, a, um (ბერძნ. *ἀκανθίνος*)
აკანთისა.

acanthus (*acanthi*, ბერძნ. *ἀκανθός*)
ჟ. მცენ. აკანთო.

accano (*accanere*) 1. დავამღერებ,
ვლილინებ; 2. ხმას ავაყოლებ, ბანს
ეუებნები.

accedo (*accessi, accessum, accedere*)
1. ეუახლოვდები; 2. მოვდივარ; *ob-*
viam accedo შესახვედრად მოვდი-
ვარ, მივმართავ (ვინმეს, მაგალითად,
თხოვნით); 3. თავს ვესხმი; 4. ეუახ-
ლოვდები, ვემატები; *accidunt anni*.
ახლოვდება სიბერე; *accedit quod*
ამას ერთვის, რომ.

accelero (*acceleravi, acceleratum,*
accelerare) 1. ვჩქარებ; 2. ვჩქა-
რობ; 3. (ვნებითი მხოლოდ ტაცი-
ტუსთან) *delicta longiore via cé-*
tera accelerantur აიორიეს უფრო
გრძელი გზა, მაგრამ ჩქარა იარეს
(*Tac. ann. 1, 50*); *accelerata inté-*
rium Vespasiani coepta ამასობაში
ვესპასიანეს წამოწყებები დაჩ-
ქარდა.

accendo (*accendi, accensum, accen-*
dere) 1. ვანთებ, ვანათებ, ვაჩალებ;
lucornam a. santhel ვანთებ; *aras*
ა. კერას ვაჩალებ (*Or.*); 2. გადატ.
ვაგულიანებ, აღვაგზნებ; 3. გადატ.
ვამრავლებ, ვაძლიერებ. [*ad, cén-*
deo]

accensco (*accensum, accensere*)
მივათელი; *accenseor illi* მასთან
ვირიცხები (*Met. 15, 546*).

accensibilis, e აღგზნებელი, ანთებული;
accensibilem ignem აღგზნებულსა
ცეცხლითა (*Hebr. 12, 18*).

accensus (*accensi*) 2. 1. მინათვლი
(საგანგებო დავალებათა მოხელე);
2. *accensi* (*accensorum*) სამარტა-
ფონი (მსუბუქად შეიარაღებული
მარტაფა მეომრები).

accntus (*accntus*) 2. გრამ. მახვილი
[*ad, cantus*].

acceptio (*acceptiōnis*) ჟ. მიღება.

accepto (*acceptavi, acceptatum, ac-*
ceptare) ვღებულობ.

acceptum (*accepti*) 2. იბ. *accipio*.

acceptus, a, um (შედარ. *acceptior,*
აღმ. *acceptissimus*) მისაღები, სა-
სურველი, სასიამოვნო.

accessio (*accessiōnis*) ჟ. 1. მოსვლა;
2. მედიც. შეტევა (სააირ. *accessio*);
3. ნაზარდი, ნამატი; შემატება; *a.*
pecuniae ფულის შემატება; *a. ví-*
rium ძალღონის მატება (*Liv.*).

accessus (*accessus*) 2. 1. მოახლოვება;
2. მედიც. შეტევა; 3. მისადგომი
(ხომალდებისათვის); 4. შემატება.

1. **accido** (*accidi, accidere*) ვვარდები
(დავარდნა); *accidit* მოხდა, ხდება.
[*ad, cado*]

2. **accido** (*accidi, accisum, accidere*)
1. წაჭერი, წავეკვეთ; 2. გადატ. ვასუს-
ტებ; *cópias esse accisas sciebat*
მან იცოდა, რომ ჯარი დასუსტებუ-
ლი იყო (*Caes.*) [*ad, caedo*]

accingo (*accinxi, accinctum, accinge-*
re) ქამარს შემოვარტყამ (შემოვირ-
ტყამ; *féro accincti* მახვილ-შე-
მორტყმულნი (*Tac. ann. 6, 2*).

accipio (*accipi, acceptum, accipere*)
1. ვღებულობ; *accipere pecuniam*
ფულის აღება, ქრთამის აღება; *ac-*
ceptum (*accepti*) შემოსავლი; *er-*
dex accepti et expénsi შემოსა-
ვალ-გასავლის დავთარა; 2. განვიციდი,
გადავიტან; 3. ვგებულობ, ვტყობი-
ლობ.

accipiter (*accipitris*) 2. კორო.

acclamatio (*acclamatiōnis*) ჟ. შეძახი-
ლი; *licentia acclamatiōnum* თა-
ვისუფალი შეძახილებით, მოურიდე-
ბელი შეძახილებით (*Tac. h. 1, 32*).

acclamo (*acclamavi, acclamatum, ac-*
clamare) შევძახებ (მოწონების ან
დაწუნების ნიშნად).

acclaro (*acclaravi, acclarare*) ნათლად
ვუჩვენებ; განვმარტავ.

acclinis, e დახრილი, მიყრდნობილი

acclino (**acclinávi**, **acclinátum**, **acclináre**) მიჯაყრდნობ; **sc acclináre** მიმხრობა (მივემხრობი).

acclivis, **e** შემალელებული (ადგილი), ფერდობიანი. **ob. acclívus**.

acclívitas (**acclívitatís**) **f.** მალლობი, აღმართი.

acclívus, **a**, **um** შემალელებული (ადგილი), ფერდობიანი; **acclívó límite** **vénit** მოვიდა ციკაბო ბილიკით (**Met.** 2, 19).

accola (**accolae**) **m.** მეზობლად მცხოვრები; მეზობელი.

accolo (**accólui**, **accólere**) მეზობლად ვცხოვრობ; **accólentes** მეზობლები.

accommodáre **hñs.** შესაფერისად.

accommodátio (**accommodatiónis**) **f.** შეგუება.

accommodátus, **a**, **um** (შედარ. **accommodátior**, **alib. accommodatíssimus**) შესაფერისი.

accommodo (**accommodávi**, **accommodátum**, **accommodáre**) შევეუგუებ.

accommodus, **a**, **um** გამოსადეგი, შესაფერისი.

acerédo (**acerédidi**, **aceréditum**, **acerédere**) მიეწოდები.

aceréscó (**acerévi**, **acerétum**, **aceréscere**) ვემატები.

accubo (**accubáre**) გვერდით ვარ, გვერდით ვმდებარეობ; წამოვწევბი.

accumbo (**accubui**, **accubitum**, **accumbere**) ვწევბი, წამოვწევბი.

accumulátor (**accumulátoris**; გვხვდება მხოლოდ ტაციტუსთან) **m.** დამგროვებელი, მომზევეკი; **opúmque prímus accumulátor** სიმდიდრის მომზევეკი (**Tac ann.** 3, 35).

accumulo (**accumulávi**, **accumulátum**, **accumuláre**) ვაგროვებ, ვაქუნებ (დაგროვება, შექუნება).

accuráte **hñs.** გულმოდგინედ, მზრუნველობით.

accurátus, **a**, **um** გულმოდგინე; ზუსტი.

accúro (**accurávi**, **accurátum**, **accu-**

rare) გულმოდგინედ ვზრუნავ, ვცდილობ; ზუსტად ვასრულებ.

accúrro (**accucúrri** [იშეითად **accúrri**], **accúrsum**, **accúrrere**) მოვირბენ, მოვიკრები.

accúrsus (**accúrsus**) **m.** 1. მორბენა, მოჭრა; თავის მოყრა; შოსვლა; 2. თავდასხმა.

accusátio (**accusatiónis**) **f.** 1. ბრალდება; 2. დასმენა (**Tac. h.** 2, 10), **accusátivus**; **cásus accusátivus** გრამ. ბრალდებითი ბრუნვა.

accusátor (**accusatóris**) **m.** 1. ბრალმდებელი (სისხლის სამ. საქმეში; საპირ. **reus**, **defénsor**), მომჩივანი; 2. დამსმენი; 3. გამეციხველი.

accusátorius, **a**, **um** 1. საბრალმდებელი; 2. ბრალმდებლისებური; შარიანი.

accúso (**accusávi**, **accusátum**, **accusáre**) 1. ბრალს ვდებ, ვაბრალებ, ვუჩივი; **a. prodatiónis** ბრალს ვდებ ლალატში, ლალატს ვაბრალებ; 2. ბრალდებას წაუყუენებ.

1. **ácer**, **ácris ácre** 1. წვეტიანი; მკრელი; **ferramentum ácre** მკრელი იარაღი; 2. მწვავე; **certámen ácre** მწვავე ბრძოლა; 3. სუსხიანი, მძაფრი, სასტიკი; **hñems ácris** სუსხიანი ზამთარი; **frígnus ácre** სასტიკი სიცოცხე; 4. მწარე; **paeniténtia ácris** მწარე სინანული (**Tac. h.** 3, 51); 5. გამეცივანი; **vox ácris** გამეცივანი ხმა; **ácris tibia** გულგამამირავი ფლიტა

acérbe **hñs.** მწარედ; გადატ. სამწუხაროდ.

acérbitas (**acérbitatís**) **f.** სიმწარე; გადატ. სისასტიკე, სიმკაცრე; უბედურება.

acérbus, **a**, **um** მწარე, მძალე. კაწახი; გადატ. სასტიკი, მკაცრი, სამწუხარო.

acérro (**acérro**) **f.** სასაკმეველე.

acérvo (**acervávi**, **acervátum**, **acerváre**) ვაგროვებ, ვაქუნებ.

acérvus (**acérvi**) **m.** გროვა, ხეინი;

acervi armorum იარაღის გროვა; *a. aeris et auri* სპილენძისა და ოქროს ზეინი (Hor.); *a. caecus* ქოლსი (Ov.).

acetábulum (acetábuli) ს. 1. ჯამი, თასი; 2. მედიც. ტაბუტის ბუდე.

acétum (acéti) ს. 1. ძმარი; 2. გადატმწარე დაცინვა.

achátes (achátae, ბერძნ. ἄχαιος) პ. (ან ჯ.) აქატი.

ácia (áciae) ჯ. ძაფი.

ácida (acidórum) ს. მჟავე საკმელები.

**ácidum (ácidi)* ს. მჟავე; *ácidum bíricum* ბორის მჟავა.

ácidus, a, um 1. მჟავე; *ínula ácida* მჟავე მზიურა (Hor.); 2. სახიზლარი, უსიამოვნო; 3. მწარე; *hómio úcidae línguae* მწარე ვენის პატრონი.

ácies (áciéi) ჯ. 1. წვეტი, პირი (დანისა, მახვილისა) 2. მწყობრი, რაზმი; 3. ბრძოლა.

acínaces (acínacis; ბერძნ. ἀκινάκης) პ. ჰოროლი, შუბი; აკინაკი (საბა).

ácinum (ácini) ს. *ácinus (ácini)* პ.

1. ანწლის კენკრა; 2. ყურძენი; *ácini vináceus* ყურძნის კურკა (Cic.).

áclys (áclydis) ჯ. ხელშემა.

aconítum (aconíti, ბერძნ.) ს. ნეცნ. ტიკტირი.

acquiesco (acquiesvi, acquiesctum, acquiescere) 1. ვისვენებ; 2. კმაყოფილებას ეპაულობ; *parva spó cum acquievisset* მცირე იმედშიც რომ კმაყოფილებას პაულობდა (Liv.); 3. ვინმეს შეუთანხმდები.

acquiro (acquisivi, acquisitum, acquirere) ვუმატებ; ვიძენ. [ad, quac- ro]

ácriter ზნისართი მწვავედ, მძაფრად; სასტიკად, ძლიერად; *príncipis iniúrias ácriter ulcisci* სასტიკი შურისძიება ხელმწიფის შეურაცხყოფისათვის.

ácta (actórum; ნახზნარი სახელი, აგვი) ს. 1. ნამოქმედარი, სრულქმნილი; დამთავრებული საქმე; ნაღვაწი, ღვა-

წლი; *belli ácta* საომარი საქმეები; *ácta Hérculis* ჰერაკლეს საგმირო საქმეები; 2. დადგენილებები, განკარგულებები (სენატისა, მაგისტრატებისა); დადგენილებათა ოქმები; *ácta Cláudii* კლავდიუსის განკარგულებები. (Tac. ann. 13, 5); *compóuéndis pátrum úctis* სენატის დადგენილებათა ოქმების შეადგენად (Tac. ann. 5, 1); 3. მოამბე (დადგენილებათა გამოსაქვეყნებლად); *diúrnis úrbis áctis mundáre* რომის ყოველდღიურ მოამბეში მოთაქება (Tac. ann. 13, 31).

áctio (actiónis) ჯ. 1. მოქმედება, მოღვაწეობა; 2. სასამართლო ძიება, დავა. *áctito (actitávi, actitátum, actitáre)* 1. ვსაქმიანობ ხოლმე; მივსდევ (რამე საქმიანობას); 2. როლს ვასრულებ; *mox spónte mímos actitávit* ძალე თავისი ნებით მიმოსის როლებს ასრულებდა (Tac. h. 3, 62).

actívus, a um საქმიანი, გამორჯელი.

áctor (actóris) პ. 1. მოქმედი, შემსრულებელი; 2. რწმუნებული (აგენტის); *áctor públicus* სახელმწიფო რწმუნებული (Tac. ann. 2, 30); 2. მსახიობი; 3. მწყემსი (პოეტ.); *pécóris áctor* მწყემსი (Ov. H. 1, 95).

1. *actuárius, a, um* ადვილად ასამოძრავებელი; სწრაფი; მსუბუქი; *actuária návis* მსუბუქი ნავი, სწრაფმავალი ნავი.

2. *actuárius (actuárii)* პ. 1. მალემწყერალი; 2. მონაგარიზე; 3. მწე (ჯარის ნაწილებში).

áctum იხ. აგვი. იხ. *ácta*.

actuósus, a, um 1. გამორჯელი; ცოცხალი, მოძრავი; 2. მგზნებარე (სიტყვა).

áctus (áctus) პ. 1. მოძრაობაში მოყვანა, ამოქმედება; ცოქმედება; წარმოება; 2. დღიური (მიწის ფართობის საზომი).

actútum ზნს. მაშინვე დაუყოვნებლივ.

aculeātus, a, um 1. ეკლიანი; 2. გადატ. გესლიანი.

aculeus (acúlei) მ. ეკალი; ნესტარი; დეხი.

acumen (acúminis) ხ. 1. წვეტიანი ბოლო, წვეტი; 2. მახვილგონიერება, შორსმჭვრეტელობა.

acuo (acui, acútum, acúere) 1. ვმახვ, ვლესავ; 2. აღვავხვებ; ვაქვებ.

1. **ácus (úceris)** ხ. ხენო, პარკი.

ácus (ácus) ჯ. ნემსი, ქინძისთავი; **ab ácia et ácu mi ómnia expósuit** ძაფით ნემსამდე (ე. ი. ყოველი წერილმანი) ყველაფერი გადმომილაგა.

acúte ხმს. თელგამპკრიახად; ფხიზლად; მკაფიოდ; **ut cernámus acútó** რათა მკაფიოდ დაეინახოთ (Lucr. 4, 810).

acútus, a, um 1. წვეტიანი, წამახული; მწვევე; **acútis súdibus munita** ბოლოწვეტიანი სარებით გამავრებული (BC 5, 18, 3); 2. გადატ. მკაფიო; **cernis acútum** მკაფიოდ ხედავ (Hor. s. 1, 5, 26); 3. გადატ. მიმხვედრი, შორსმჭვრეტი, გამპკრიახი; 4. გრამ. მკვეერი; **accéntus acútus** მკვეერი მახვილი.

ad (წინდებული, **accus.**) 1. -კენ, -თან, მახლობლად; -მდე; მიხედვით; -თვის; **ad fenóstram** ფანჯარასთან; **ad flúmen** მდინარის მახლობლად 2. (რიცხვით სახელთან) დაახლოებით; **ad ducéntos** დაახლოებით ორასი, ორასამდე.

a, d. = **ante diem.**

adactio (adactiónis) ჯ. დადება; **iúris iurándi adactiónem** ფიცის დადება (Liv. 22, 33, 5).

adactum იხ **ádigo.**

adaequo (adaequávi, adaequátum, adaequáre) ვათანაბრებ, ვასწორებ; ვუსწორებ.

adaggero (adaggerávi, adaggerútum, adaggeráre) მოვავროვებ, დავავროვებ; მიწას შემოვავრო; **a. térram**

circa árborem ხეს მიწას ვავრო გარშემო.

adágio (adagiónis) ჯ. **adágium (adágii)** ხ. ანდახა.

adamántinus, a, um 1. რკინასავით მაგარი; 2. ანდამატიისა.

ádamaus (adamántis, ბერძნ. ἀδάμας) 1. რკინა, ფოლადი; 2. გადატ. სიმტკიცე, უდრეკობა; 3. ანდამატი.

ádamo (adamávi, adamátum, adamáre) ვეტრფი; მზიბლავს.

adapéro (adapérui, adapértum, adapérice) 1. გავალებ; **adapértae fúres pórtae** გაღებული კარები; 2. გავაშიშვლებ; გავამულავნებ.

adápto (adaptávi, adaptátum, adaptáre) მოვარგებ; შევუვლებ; მივუყვებ.

adáugeo (adáuxi, adáuctum, adaugére) ვამრავლებ, ვზრდი; გავადიდებ.

adaugéscó (adaugóscere) ვემატები, ვმატულობ; **néque adaugéscit quicquam néque déperit** არც არაფერი ემატება არც აკლდება. (Lucr. 2, 296).

ádbibo (ádbibi, ádbihere) 1. დავლევ, გადავკრავ; **úbi ádbibit plus paulo** როგორც კი ცოტა გადაჭკრავს (Ter.) 2. გადატ. აღვიბეჭდავ; გულთან ახლოს მივიტან.

ade... იხ. **acc.**

adídco (addíxi, addíctum, addícere) მივკეთუნებ; **se addícere** მინდობა, დამორჩილება.

addíctus, a, um 1. ერთგული, მორჩილი; 2. ვალდებული.

additamentum (additaménti) ხ. დანართი, სართი.

addítio (additiónis) ჯ. დართვა, დამატება.

áddo (áddidi, ádditum, áddere) 1. ვუმატებ, ვურთავ; **scóleri scéelus áddidit** ბოროტმოქმედებას დაუმატა ბოროტმოქმედება (Liv.); 2. გადატ. დამატებით გამოყენება; **óperi nrítem áddere** საშუაოდ ღამის გა-

მოყენება (ლამითაც მუშაობა დამატებით). — *Addito témporo* დრო გაივლის დრო თავისას იზამს; *addita aetate* დროთა ვითარებაში.

addūco (*addūxi, addūctum, addūcere*) 1. მიმყავს (მიიყვან); მოვწვევ, მივიწვევ, მივითრევ, მივიზიდავ; *fūnes addūcti erunt* თოკები მოსწიეს; *rimulum addūcere* შტოს მიზიდავ; *ne quem peditem ad collōquium addūceret* რომ მას არ მიეყვანა ქვეთა ჯარი ამ თათბირზე (Caes.); 2. მოვუქვრ; *lōrum addūcere* ღვედის მოქვრა; 3. ნაოქებად შეკვრა; *addūcere frōntem* შუბლის შეკვრა; 4. წაქეზება; *his rébus addūctus* ამ გარემოებით წაქეზებული.

addūctius ზნს. შედარ. ხარ. უფრო მკაცრად (Tac. h. 3, 7).

addūctus, a, um (შედარ. *addūctior*) 1. მოკვერილი, მოკიშული; ვიწრო; 2. პირქეში, მოღუშული.

ádēdo (*adēdi, adēsūm, adēdero*) 1. შემოვკვამ, შემოვლრღნი; 2. შევუქვამ, გავაჩანავებ.

adēptio (*adēptiōnis*) ჯ. წართმევა; *adēptiōnes bonórum* ქონების ჩაბროტმევა (Tac. ann. 4, 6).

adēptum იხ. *ádimo*.

1. *ádēo* ზნს. ამდენად, იმდენად, იმ ზომამდე.

2. *ádeo* (*ádii, áditum, ádire* 1. მივიღივარ, მოვიღივარ (მოსვლა); *ad se ádire* მასთან მოსვლა; *qua Turpéia rúpes céntum grádibus áditur* სიდანაც ტარპეის კლდეზე მისასვლელად ასი საფეხური უნდა აიარო (Tac. h. 3, 71); 2 მოვლა, მონახულება; *Lycias úrbes ádit* მოიარა ლიკიის ქალაქები (Met. 4, 297); 3. თავს ევსხმი; 4. ჩავარდნა; *ut vítae periculum áditúrus viderétur* (იმდენად მიიმედ იყო დაკრილი), რომ მისი სიცოცხლე საფრთხეში იყო ჩავარდნილი.

adéptus, a, um მიმღწვევი, მიმღევარი. შეად. *adipíscor*.

adóquito (*adequitávi, adequitátum, adequitáre*) ვუახლოვდები ცხენით.

adf... იხ. *aff...*

adg... იხ. *agg...* (მაგრამ *adgnóscó* იხ. *agnóscó*).

adgrédior იხ. *aggrédior*.

adhaereu (*adhaesi, adhaesum, adhaerére*) 1. ვეკერი, ვეზრობი; 2. ვესახლვრები, მიჯნაზე ვარ; *in díca silva adhaerébat* პატარა ტყე ვსახლვრებოდა.

adhaeréscó (*adhaesi, adhaeréscere*) 1. მივეკვრები, შევეზნირები; 2. (ორატორზე) ენა ებმის.

adhíbeo (*adhíbui, adhíbitum, adhibére*) 1. მივადებ, დავურთავ, დავუმატებ; 2. მივიწვევ; *ad id consílium adhibitis centuriónibus* ამ თათბირზე რომ მოწვეული იყვნენ ცენტურიონები.

adhortátio (*adhortatiōnis*) დ. გამაწვევა, წახალისება, წაქეზება.

adhórtor (*adhortátus sum, adhortári*) ვამაწვევებ, ვახალისებ, ვაქეზებ.

ádhué ზნს. 1. აქამდე; 2. ჯერ კიდევ (Tac. G. 19; 3. ამას გარდა.

adiáceo (*adiácuí, adiacéro*) ვეკერი, ვესახლვრები, მეზობლად ვარ; *adiacéntia* (*adiacéntium*) მიდამოები.

adício იხ. *adificio*.

adiéctio (*adiectiōnis*) ჯ. 1. მიმატება; *familiárum adiectiōnes* (ახალი) ოჯახების მიმატება (ჩასახლება; Tac. h. 1, 78); 2. აგრამ. განმეორება (სიტყვისა წინადადებაში).

ádigo (*adégi, adáctum, adigere*) 1. მოვრკე (საქონელს), მოვდენი; 2. მოვარკებ (გასაღებს); 3. ვაძულებ, მივიყვან; *cum tormentis édere cónscios adigerétur* წამებით რომ აიძულებდნენ გაეცა თანამონაწილენი (Tac. ann. 4, 45); *ad mortem adigere* სიკვდილის პირამდე მიყვანა (Tac.).

adiŭcio (adiŭcĭi, adiŭctum, adiŭcero) ვისერი, მივაგდებ; მივეურთებ, მივუმატებ [ad, iŭcio].

adiŭmo (adĕmi, adĕmptum, adĭmere) 1. ვართმევ, ვუსპობ; pecŭniam a. ფულს ვართმევ; vitam a. სიცოცხლეს ვუსპობ; 2. მოვტაცებ; ვათავისუფლებ; puŕllam lŕto adĕmit გოგონა სიკვდილს გამოსტაცა (Hor.); dolŕres adĭmere მწუხარებისაგან განთავისუფლება. [ad, ŕmo]

adiŭsŭrgo (adiŭsŭrgere) წამოვიწვევი, აღვიმართები.

adiŭpĭscor (adĕptus sum, adĭpĭsci) ვალწევ, დავწვევი, ზელში ვიგდებ. [ad, apĭscor].

1. adĭtus, a, um ob. 2. adĕo.

2. adĭtus (adĭtus) ჰ. 1. მოსვლა; 2. მისახალი, მისახლევი; 3. გადატ. შესაძლებლობა. შემთხვევა.

adiŭdĭco (adiŭdicĕvi, adĭndicĕtum, adĭndicĕre) მივეუსჯი, მივაკუთვნებ, მივანიჭებ.

adiŭmĕntum (adiŭmĕnti) ს. დამხმარე საშუალება, დახმარება.

adiŭnctio (adiŭnctiŕnis) რ. მიბმა, შეერთება.

adiŭnctus, a, um 1. მობმული, შეერთებული; 2. მომიჯნავე; 3. შესაფერისი.

adiŭngere (adiŭnxi, adĭnctum, adĭn-gere) 1. ვაბამ (მიბმა, შებმა); plus-tŕllo adĭn-gere mŭris (mŭres) ეტლში აბამს თავებებს (Hor. s 2, 3, 217); 2. მივეურთებ, დავურთავ; 3. მივიზხრობ; so adĭn-gere მიზხრობა (მივეზხრობი).

adiŭro (adiŭrĕvi, adĭurĕtum, adĭurĕre) 1. ვფიცავ, ფიცს ვდებ; adĭur-as id te invito me non ĕsŕe factŭrum შენ ფიცს სდებ, რომ ჩემი სურვილის გარეშე ამას არ გააკეთებ; 2. გაფიცებ (ვაფიცებ), ვემუდარები; per pĕtrem a. მამას ვაფიცებ.

adiŭtor (adiŭtorĭs) ჰ. 1. დამხმარე,

მშველელი; თანაშემწე; 2. დამხმარე მსახიობი, მეორე როლის მსახიობი (Hor. s. 1, 9, 46: mĕgnum adĭu-tŕorŭm, pŕsset qui fŕre ŕecŭndas დიდი თანაშემწე, რომელიც მეორე როლებს შეასრულებდა).

adiŭvo (adiŭvi, adĭutŭm, adĭuvĕre) ვეხმარები, ვშველი, ხელს ვუწყობ.

adĭ... ob. all...

admatŭro (admatŭrĕre) ვაჩქარებ.

admetĭor (admetŭsus sum, admetĭri) მივეუბოძებ, მივეურწყავ.

admicŭlum (admicŭli) ს. 1. საყრდენი, ბოძი; 2. გადატ. დახმარება. [ad, micŭ]

admiŕster (admiŕstri) ჰ. 1. მსახური; 2. თანაშემწე.

admiŕstra (admiŕstrae) რ. მსახური (ქალი).

admiŕstrĕtio (admiŕstrĕtiŕnis) რ. სამსახური, დახმარება; გამგებლობა, მართვა; a. nŕvis ხომალდის მართვა; a. rĕi pŭblice სახელმწიფოს მართვა-გამგეობა.

admiŕstrĕtor (admiŕstrĕtorĭs) ჰ. განმგებელი, გამგე.

admiŕstro (admiŕstrĕvi, admiŕstrĕ-rĕtum, admiŕstrĕre) 1. ემსახურებ, ვშველი; 2. ემართავ, განვაგებ a. nŕvem ხომალდს ემართავ; a. rem-pŭblicam სახელმწიფოს განვაგებ. 3. ვაწარმოებ. ესარდლობ, ვხელმძღვანელობ; sŭmma impŕrii bel-licŭe admiŕstrĕndĭ სახელმწიფოს მართვა და მთავარსარდლობა (B. G. 5, 11).

admiŕĕbilis, e საკვირველი.

admiŕĕbilitas (admiŕĕbilĕtĕtis) რ. საკვირველება; გაკვირვების საგანი.

admiŕĕbiliter ზნნს. საკვირველად.

admiŕĕtio (admiŕĕtiŕnis) რ. გაკვირვება; homo admiŕĕtiŕne dignĭs-sĭmus კაცი უაღრესი გაკვირვების

- ღირსი; *admiratiónem habére* გაკვირების გამოწვევა.
- admiror* (*admirátus sum, admirári*) მიკვირს; გაკვირებით უცქერი; *munitiónes hostium admirátur* გაკვირებით უცქერის მტრის სიმაგრეებს.
- admisceo* (*admiscui, admixtum [admístum], admiscére*) მიეურევე; ჩაერევე, შეეურევე.
- admissum* (*admissi*) ხ. დანაშაული, სინონ. *dolictum*.
- admitto* (*admissi, admissum, admittere*) 1. ეუშვებ (დაშვება), მიეუშვებ (მიშვება); *équo admisso* გაკუნებული ცხენით; 2. მივაპყრობ; *óculos ceclo a*. ცას მივაპყრობ თვალებს; 3. შევეუშვებ; 4. დავამყნობ; 5. ნებას ვრთავ; *eum admitterent áves* ფრინველებმა რომ (აუსპიციების დროს) კარგი ნიშანი მისცეს (*Liv.* 1. 55, 3); 6. დანაშაულს ჩაედივარ.
- admodum* ზმნს. 1. ფრიად, ძალიან; 2. (რიცხვით სახელებთან) დაახლოებით, სულ ცოტა მაინც.
- admonéo* (*admonui, admonítum, admonére*) 1. მოვაგონებ, შევაგონებ, ვარწმუნებ; ვაიძულებ; *si sitis admonéret* თუ წყურვილი აიძულებდა (*Tac. ann.* 15, 45) 2. ვაფრთხილებ, ჭკუას ვასწავლი.
- admonítio* (*admonitiónis*) ჯ. 1. შეგონება, დარწმუნება, 2. ვაფრთხილება, რჩევა, ჭკუის სწავლება.
- admonitor* (*admonítoris*) მ. 1. შემგონებელი; 2. მრჩეველი; 3. მაცნე, მაუწყებელი; *a. óporum, Lucifer úrtus érat* შრომის მაცნე ლუციფერი ამოვიდა (ე. ი. დილა გათენდა; *Ov. Met.* 4, 664).
- admóveo* (*admóvi, admótum, admóvére*) 1. ვწევ (მიწვევა); ვამობრავებ; 2. ვუნერავებ.)
- adn.*, *ob. ann.*
- adóleo* (*adólui, adólére*) 1. სურნელებას ვაფრქვევ; *únde hic unguénta* *ádolent?* საიდან მოდის აქ ნეს-საცხებლის სურნელება? (*Plaut.*): 2. მსხვერპლს ვწირავ.
- adoléscens* (*adoléscéntis*) ზედსართ. და არს. მოზარდი, ახალგაზრდა.
- adoléscéntia* (*adoléscéntine*) ჯ. სიყრმე, ახალგაზრდობა.
- adoléscéntula* (*adoléscéntulæ*) ჯ. კნინ. ძალიან ახალგაზრდა ქალი.
- adoléscéntulus, a, um.* ძალიან ახალგაზრდა.
- adoléscéntulus* (*adoléscéntuli*) მ. კნინ. ძალიან ახალგაზრდა კაცი.
- adoléscere* (*adolévi, adúltum, adóléscere*) 1. ვიზრდები; *adoléscens* (მიმღობა) მზარდი; 2. (ასაკში) შევდივარ; *eum prímuu adólévit actas* როგორც კი ასაკში შევიდნენ (*Liv.* 1, 4, 8). [*ad. alesco*]
- adopérío* (*adopéruí, adopértum, adopéríre*) 1. დავფარავ, შევფუთნი; 2. დავკვეტავ; *foribus adopértis* დაკვეტილ კარებში.
- adópinor* (*adopinári*) დავასკენი, დასკენას ვაკეთებ; *adopinámu de signis máxima párvís* პატარა ნიშნების მიხედვით დიდ დასკვნებს ვაკეთებ (*Lucr.* 4, 816).
- adóptio* (*adoptiúnis*) ჯ. შეილად აყვანა; *adóptio in Domítium festinámu* დაჩქარეს დომიციუსის შეილად აყვანა (*Tac. ann.* 12, 25); 2. დამყნობა.
- adópto* (*adoptávi, adoptátum, adoptáre*) 1. გამოვარჩევ; 2. მივიკეთვნებ (სახელს); 2. ვიშვილებ; 4. დაჯანყნობ.
- adorátio* (*adoratiónis*) თავყვანის-ცემა.
- adórior* (*adórtus [adorsus] sum, adórirí*) 1. გამოვჩნდები უცხად; 2. დავეცევი ვინმეს; 3. წამოვიწყებ.
- adóрно* (*adornávi, adornátum, adornáre*) 1. მოვამზადებ, გავამზადებ;

a. naves ouerárias გავამზადებ სატვირთო ხომალდებს; 2. მოვრთავ.
adoro (*adorávi, adorátum, adoráre*)
ლოცვით მიემართავ, ვემუდარები;
თაყვანს ვცემ.

adoratum იხ. **adorior**.

adp... იხ. **app...**

adque იხ. **atque**.

adquiesco იხ. **acquiesco**.

adquiro იხ. **acquiro**.

adr... იხ. **arr...**

adrado (*adrási, adrásum, adrádere*)
მოვფხვკ, ჩამოვფუკ.

adroo (*adrúere*) დავაყრი, წვაყყრი; **a. terram** წვაყყრი მიწას.

ads... იხ. **ass...**

adsc... იხ. **asc...**

adscisco იხ. **ascisco**.

adstrictus იხ. **astriectus**.

adt... იხ. **at...**

adulatio (*adulatiónis*) დ. მლიქვნელობა, პირმოთნეობა.

adulatórius, a, um მლიქვნელური; **exemplar adulatórii dedecoris** საზარტყენო მლიქვნელობის ნიმუში (*Tac. ann. 6, 32*).

adulescens (*adulescéntis*) ზედსართ. და არს. მოზარდი, ახალგაზრდა.

adulescéntia (*adulescéntiae*) რ. სიყრმე, ახალგაზრდობა.

adulescéntula, adulescéntulus... იხ. **adulescéntula...**

adulesco (*adulóvi, adúltum, adulescere*) ვიზრდები.

adúlo (*adulávi, adulátum, aduláre*) 1. ველაქუცები, ვმლიქვნელობ.

adúlter, adúltera, adúlterum მრუში, აზოროტი.

adúltérium (*adúltérii*) ს. მრუშობა.

adúltus, a, um მოზრდილი; განვითარებული. იხ. **adolésco**.

adumbrátus, a, um გადატ. 1. ოდნავ მოხაზული; წარმოსახვითი; 2. მოსაჩვენებელი, მოგონილი (*Tac. ann. 4, 31*).

adúmbro (*adumbrávi, adumbrátum,*

adumbráre) 1. დავრდილავ; 2. გადატ. ოდნავ მოვხაზავ.

adúro (*adússi, adústum, adúrere*) 1. მოვწვავ, მოვტრუსავ; 2. მოვყინავ; **adístus** მოყინული.

advéctus (*advéctus*) შ. მოტანა, მოზიდვა (გვხვდება მხოლოდ *Tac. h. 4, 84* და *Varr. l. 1. 5, 43*).

advého (*advéxi, advéctum, advéhere*) მომაქვს, ვზიდავ (ცხენით, ეტლით, ნავით).

advélo (*advéláre*) გავახვევ, დავბურავ; **viridíque advélat tómpora líuro** საფეთქლებს ახვევს მწვანე დაფნით (*Aen. 5, 216*).

advéna (*advénae*) შ. მომსლველი, შემოსწრებული; უცხოელი.

advénio (*advéni, advéntum, advénire*) მოვდივარ.

advénticius, a, um 1. გარედან მოსული, უცხო; 2. შემთხვევითი; 3. (რამიმე) შემთხვევის გამო.

advénto (*advéntávi, advéntáre*) ვუახლოვები, მოვდივარ; **in subsidiúm advéntánti** რომელიც დასახმარებლად მოდიოდა (*Tac. ann. 14, 32*).

advéntus (*advéntus*) შ. მოსვლა.

advérbium (*advérbii*) ს. გრამ. ზმნისართი.

adversárius, a, um მოწინააღმდეგე, მტრული; **adversárius** (*adversárii*) შ. მოწინააღმდეგე. მტერი; **adversária** (*adversáriórum*) ს. დავთარი, დღიური.

advérsor (*adversátus sum, adversári*) 1. ვეწინააღმდეგები; 2. ეჩაგრავ.

advérsus, a, um მოპირდაპირე, მოწინააღმდეგე.

advérsus და **advérsum** 1. ზმნს. წინააღმდეგ. პირიქით; 2. (წინდებული *accus.*) წინააღმდეგ.

advérto (*advérti, advérsum, advértere*) მივმართავ; ყურადღებას ვაქცევ; **ánimum advértere** ყურადღების მიქცევა.

advocatio (advocatiónis) ჟ. 1. მოწოდება; მოწვევა; 2. შელა, დაცვა.

advocatus (advocati) მ. დამცველი; **advocatorum perfidia** ვეკილების ვერაგობა (Tac. ann. 11, 5).

advoco (advocavi, advocatum, advocare) 1. მოუწოდებ, მოვიწვევ; 2. გამოვიყენებ; 3. საშველად მოუხმობ.

advolo (advolavi, advolatum, advolare) მოვფრინდები.

advólvo (advólvi, advólutum, advólvere) მოვგორდები; მოვგორალდები; **cum Tibérii génua advolverétur** ფეხებში რომ ჩაუქარდა ტიბერიუსს (Tac. 1. 13).

aedes (aedis) ჟ. 1. ტაძარი: **dúas aedes, Fortunae et Mártis** ორი ტაძარი, ფორტუნისა და მარსისა (Liv. 27, 23, 2); 2. ოთახი.

aedes (aedium, m. ო.) ჟ. სახლი.

aedicula (aediculae) ჟ. პატარა შენობა, პატარა სახლი; ოდა.

aedificatio (aedificatiónis) ჟ. 1. აშენება, აგება; 2. შენობა.

aedificator (aedificatoris) მ. მშენებელი, ამშენებელი.

aedificium (aedificii) სმ. შენობა.

aedificio (aedificavi, aedificatum, aedificare) ვაშენებ.

aedilicius, a, um ედილისა; **viatores aedilicii** ედილის შიკრიკები (Liv. 3, 39, 7).

aedilis (aedilis) მ. ედილი (თანამდებობის პირი რომში).

aedilitas (aedilitatis) დ. ედილობა.

aedituus (aeditui) მ. ტაძრის მცველი: **praetor edixit, uti aeditui aedes sacras tota urbe aperirent** პრეტორმა განკარგულება გასცა, რომ მცველებს დაეღოთ მთელ ქალაქში წმინდა ტაძრები (Liv. 30, 17, 6).

aeger, aegra, aegrum 1. ავადმყოფი; 2. დამწუხრებული.

aegis (aegidis, ბერძნ. αἰγίς) ჟ. 1. ფარი (იუპიტერისა და მინერვასი);

aegidáque horrifera turbatae Palladis arma თავზარდამცემი ფარი, მოისხანე პალადას საჭურველი (Aen. 8. 435).

aegre ხმნს. უგუნებოდ; ძლივს; **aegerrime** დიდის ვაივავლახით.

aegreo (aegróre) ავად ვარ.

aegréscó (aegréscere) 1. ავად ვხდები; 2. ეწუხვარ; 3. უარესად ვხდები:

aegróscit medéndo წამლობისაგან უფრო უარესად ხდება (Aen. 12, 46). **aegrítúdo (aegrítúdinis)** ჟ. ავადმყოფობა.

aegrotatio (aegrotatiónis) ჟ. ავად ყოფნა, ავადმყოფობა.

aegróto (aegrotare) ავად ვარ.

aegrótus, a, um ავადმყოფი.

aemulatio (aemulatiónis) ჟ. 1. შეჯიბრება; 2. ჯიბრი, შურტი.

aemulátus (aemulátus) მ. შური, მეტოქეობა (გვხვდება მხოლოდ Tac. ann. 13, 46 **ne in urbe aemulátus úgeret** რომში რომ მეტოქეობა არ გასწიოს; და h. 3, 66).

aemulor (aemulátus sum, aemulari) ვეჯიბრები, მეტოქეობას ვუწევ.

aemulus, a, um მუყაითი, თავგამოდებული.

aéneus, a, um სპილენძისა.

aequábilis, e 1. თანაბარი, ერთნაირი; 2. (გადატ.) მიუდგომელი; **sამართლიანი aequábilis in súos** თავისი ქვეშევრდომების მიმართ **სამართლიანი** (Tac. ann. 6, 31).

aequaevus, a, um ტოლი, ერთი ხნისა.

aequális, e თანაბარი, ტოლი.

aequálitás (aequalitátis) ჟ. 1. სისწორე (ზედაპირისა); 2. ერთნაირობა; ტოლობა; **erántque plúres símul imperatóres nec súper ceterórum aequalitátém** რამდენიმე იმპერატორი იყო ერთდროულად, მაგრამ არავინ იყო სხვებზე უფროსი (ე. ი. ყველანი ტოლები იყვნენ; Tac. ann. 3, 74).

aerquáliter ხნს. თანაბრად, ტოლად.
aerius ხნს. 1. თანაბრად, აგრეთვე; 2. მიუდგომლად.
aerquifbritas (aerquilibritátis) რ. წონანაწილობის კანონი (Cic.).
aerquifbrium (aerquilibrii) ხ. წონანაწილობა. [aequus, libra].
aerquinoctium (aerquinoctii) ხ. ბუნობა [aequus, nox].
aerquitas (aequitátis) რ. თანაწილობა, ტოლობა; 2. წონანაწილობა; 3. სამართლიანობა; **aequitáte déum erga hóna maláque documenta** რადგან ღმერთები თანაბრად ხედებიან კარგსა და ცუდ საქმეებს (Tac. ann. 16, 33).
aerquo (aequávi, aerquátum, aerquáre) მოვანაწილებ (ადგილს). გავთანაბრებ.
aerquor (aequoris) ხ. 1. ხედაპირი, ვლუვი ხედაპირი; 2. ზღვის ხედაპირი. ზღვა; **aerquor Iónium** იონიის ზღვა (Mot. 15, 49).
aequus, a, um თანაბარი; სამართლიანი.
aër (aëris, ბრალდ. ბრ. aëra; ბერძნ. αἴρ), შ. ჰაერი.
aerária (aeráriae) რ. მალარო.
aerarium (aerarii) ხ. ხაზინა.
aerarius, a, um სპილენძისა; ფულისა.—
aerarii (aerariórum) შ. ერაოები (დაბალი წოდების მოქალაქენი, რომელნიც სამხედრო და სხვა ბეგარისაგან თავისუფალი იყვნენ და ამის ნაცვლად ფულს იხდიდნენ).
aeratus, a, um 1. სპილენძით მოქედილი; 2. სპილენძისა.
aereus, a, um სპილენძისა.
aërius, a, um 1. ჰაერისა; 2. ჰაერში მყოფი.
aerúgo (aerúginis) რ. ეანგარო.
aerúmna (aerúmnae) რ. 1. ჯაფა, მძიმე შრომა; 2. უბედურება, დამარცხება (ომში).
aes (aeris) ხ. სპილენძი; ფული; **aes aliénnum** ვალი.

aestas (aestátis) რ. ზაფხული; **in ita aestáte** ზაფხულის დასაწყისში (BG 2, 2, 1); **media aestáte** შუა ზაფხულში.
aestimatio (aestimatiónis) რ. შეფასება; **ne fruménti aestimatiónem habéret** რომ მას არ ჰქონდა ხორბლის დაფასების უფლება (Liv. 43, 2, 12).
aestimátor (aestimátoris) შ. დამფასებელი.
aestimo (aestimávi, aestimátum, aestimáre) ვაფასებ; ვთვლი, ვრაცხ.
aestivus, a, um ზაფხულისა, საზაფხულო.
aestuárium (aestuárii) ხ. 1. ტბორე; დაქაობებული ადგილი; 2. ტბა; 3. ყურე.
aestumo იგივეა რაც **aestimo**.
aestuósus, a, um ცხელი.
aestus (aestus) შ. 1. სიციხე; 2. ზაფხული; 3. ტალღები (ზღვაზე); ტალღების მოქცევა; **relabénte aestu** როდესაც ტალღების მოქცევა განახლდა (Tac. ann. 2, 24); **ut ei nuntiátum est aestum decédero** როგორც კი აცნობეს მას ზღვის ტალღების უკუქცევა (Liv. 26, 45, 7).
actas (actátis) რ. 1. ხანი, დრო; ასაკი; **cum primum in actátem véni** როდესაც გავხდი სრულწლოვანი (Liv. 42, 34, 3); **iniens aetas** (ცხოვრებაში) შესვლის ასაკი; **actas militáris** სამხედრო სამსახურის ასაკი.
aetérnitus (aeternitátis) რ. 1. მარადისობა; საუკუნე; 2. სამარადისო ხსოვნა.
aetérno (aeternáre) უკვდავყოფ; **túas virtútes aetérnet** შენს ღვაწლს უკვდავყოფს (Hor. c. 4, 14, 5).
aetérnus, a, um საუბუდამო, საუკუნო.
aether (aetheris, ბრალდ. aethera; ბერძნ. αἰθήρ) შ. ეთერი; ჰაერი.
aethérius, a, um ეთერისა; ჰაეროვანი; პოეტ. ციური; **áqua aethéria** წვიმა (Ov.).

aeuum (aeui) ხ 1. საუკუნე, მარადი-
ლობა; 2. ასაკი.

affabro ზმნს. ოსტატურად.

affatim ზმნს. საკმარისად.

affectedatio (affectedationis) სწრაფ-
ვა, ნდობა, სურვილი.

affectedio (affectedionis) ჯ. მდგომარეო-
ბა, აღნაგობა; განწყობილება; laetas
inter audientium affectediones
(აღძრა მისდამი) სასიამოვნო გრძნო-
ბები მსმენელთა შორის (Tac. ann.
4, 15).

affectedo (affectedivi, affectedatum, affec-
tature) ვისწრაფი, ვიღწვი; მწყურია,
ვედილობ მივალწიო.

1. affectedus (affectedus) შ. განწყობილე-
ბა, გუნება.

2. affectedus, a, um 1. განწყობილი; 2.
დაჯილდოებული (რაიმე თვისებით).

affero, (attuli, allatum, afferre) მო-
მაქვს (მოტანა).

afficio (affeci, affectum, afficere)
ემოქმედებ ვინმეზე, გავლენას ვახ-
დენ; talibus cibis affici posse ამ-
გვარი საკმელებით გავლენის მოხ-
დენა (Apul.) 2. მივაყენებ; magno
incommodo afficiebat დიდ ზა-
რალს აყენებდა; in mortem affecit
მოკლა (Tac. ann. 4, 45); maximis
praemiis adficiendo დიდძალი სა-
ჩუქრების მიცემით (BG 8, 49); vul-
nere Commium adfectum კომიუსს
ჭრილობა მიაყენეს (BG 8, 23).

affictum იხ. affingo.

affigo (affixi affixum, affigere)
მივაკრავ, მივაკედებ, მივამაგრებ;
Promethous affixus ad Caucasum
პრომეთე მივაკეული კავკასიონზე
(Cic. Tusc. 2, 23).

affingo (affinxi, affictum, affingere)
მიუემატებ, მივაკეთებ; მივაწერ
(ვინმეს რამეს); addunt ipsi et ad-
fingunt rumoribus Galli გალები
აზვიადებენ და თვითონ უმატებენ
ხმებს, რომ... (BG 7, 1, 2).

affinis, e 1. მოსახლერი 2. მოყვარი.

ნათესავი; vincula affinia ნათესაუ-
რი კავშირი (Ov. P. 4, 8, 9).

affinitas (affinitatis) ჯ. (გადატ.) მოყ-
ვრობა, ნათესაობა.

affirmatio (affirmationis) ჯ. მტკი-
ცება, რწმუნება; დამტკიცება.

affirmo (affirmaui, affirmatum, af-
firmare) ვადასტურებ, ვამტკიცებ.

affixus, a, um მიკრული, მიმაგრებუ-
ლი, მკიდროდ დავაწმირებული.

afflatus (afflatus) შ. 1. ქროლა; ჰაე-
რი; 2. სუნთქვა.

afflicto (afflictavi, afflictatum, af-
flictare) 1. მაგრად ვურტყამ, ვირტ-
ყამ; 2. ვახიანებ, ვაწვალებ, ვტან-
ჯავ; ...per comitialem morbum,
quo prima ab infantia afflictaretur
Britannicus (ეს ხდებოდა) ავი
ზნისაგან, რომლითაც ბრიტანიკუსი
ბავშვობიდანვე იტანჯება (Tac. ann.
13, 16).

affligo (afflixi, afflictum, affligere)

1. ვეცმ. მივარტყამ, მივკრავ; oscula
